ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3180368

ნომერი: AR1489846

თარიღი : 28.03.2017

გაცემის თარიღი : 26.04.2017

გაცნობის თარიღი : 01.05.2017

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , რესპუბლიკურ თვალის კლინიკასა და კრწანისის II-ჩიხს შორის, (ნაკვ. 18/24) ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- მაია რჩეულიშვილი პ/ნ 01017003383
- თბილისი ლ.ბოცვაძის ქ. N 14

ორგანიზაცია:
- გეითვეი ჰოლდინგი კოდი: 204531499

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- ქალაქმშენებლობითი პარამეტრების გაზრდა

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30

დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2017 წლის 28 მარტის AR1489846განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, ჯრწანისის რაიონში, რესპუბლიკური თვალის კლინიკასა და კრწანისის II ჩიხს შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე საკადასტრო კოდით: N01.18.06.018.052 განაშენიანების ინტენსივობის მაქსიმალური კოეფიციენტის (კ–2) გაზრდას, გაცნობებთ შემდეგს:

აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსის განსათავსებლად 2005 წლის 05 ოქტომბრის N797 ბრძანებით შეთანხმებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტი, შესაბამისად რაიმე სახის ცვლილება განაშენიანების რეგულირების გეგმაში შემავალი მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარების შესახებ, ასახული უნდა იქნეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტში. გამომდინარე აქედან უნდა წარმოადგინოთ განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული ვარიანტი, რომელიც იქნება განხილული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა საბჭოს სხდომაზე.

ამ ეტაპზე სამსახური მოკლებულია შესაძლებლობას განიხილოს თქვენი 2017წლის 28 მარტის AR1489846განცხადება.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.